

# პასუხი საგამოცდო სანიტარიუმო პითევებზე

## 1. „ზამბაზე ჯგუფი“

„ზამბეზე ჯგუფის“ ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2006 წლის 30 ივნისის  
მდგომარეობით

	\$ მლნ	\$ მლნ
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება დაბეგვრამდე	690	
კორექტირებები:		
მოგების წილი მეკავშირე საწარმოში	(30)	
ცვეთა	60	
გუდვილის გაუფასურება (გ.2)	8	
საპროცენტო ზარჯი	40	
საპენსიო სარგებლის ზარჯი	13	
	<hr/>	<hr/>
	91	
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე:		781
სავაჭრო დებიტორული დავალიანების ზრდა	(80)	
სასაქონლო მარაგის შემცირება (650-580-90)	20	
სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ზრდა	141	
	<hr/>	<hr/>
	81	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული		862
გადახდილი პროცენტი (გ.5)	(31)	
გადახდილი მოგების გადასახადი (გ.4)	(190)	
საპენსიო სარგებლის სახით გადახდილი ნაღდი ფული	(7)	
	<hr/>	<hr/>
	(228)	
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		634
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
შვილობილის შეძენა	(100)	
ძირითადი საშუალებების შეძენა (გ.1)	(251)	
მეკავშირისაგან მიღებული დივიდენდები (გ.3)	35	
ინვესტიცია „რივერში“	(400)	
	<hr/>	<hr/>
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		(716)
ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან:		
აქციების გამოშვებიდან მიღებული ფული	30	
გრძელვადიანი სესხების ზრდა	66	

გადახდილი დივიდენდები (გ.6)	(46)
არამაკონტროლებელი წილის კუთვნილი დივიდენდები (გ.2)	(58)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული	(8)
ფულისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა შემცირება	(90)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	140
ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	50

### პ.1

გრძელვადიანი აქტივები	\$ მლნ
ნაშთი 2005 წლის 1 ივლისს	1,005
გაუფაუსების ზარალი	(95)
ცვეთა	(60)
შესყიდვები (გამოკლების საშუალებით)	395
შეძნა - „დამფი“	70
საბოლოო ნაშთი	1,315

ფულადი ნაკადი არის \$395 მლნ, მინუს ვალდებულება მირითადი საშუალებებისათვის \$144 მლნ, ანუ \$251 მლნ.

### პ. 2.

შვილობილის შეძნა	\$ მლნ
შეძნილი წმინდა აქტივები	160
კგუფის წილი წმინდა აქტივებში (70%)	112
გუდვილი	13
შეძნის კომპენსაცია ( 100+25)	125
გუდვილი:	\$ მლნ
ნაშთი 2005 წლის 1 ივლისს	25
შვილობილის გუდვილი	13
გაუფასურება (გამოკლების საშუალებით)	(8)
ნაშთი 2006 წლის 30 ივნისს	30

არამაკონტროლებელი წილი	
ნაშთი 2005 წლის 1 ივლისს	45
„დამფის“ შეძნა (160x30%)	48
წლის მოგება	25
დივიდენდი (გამოკლების საშუალებით)	(58)
ნაშთი 2006 წლის 30 ივნისს	60

### პ.3.

დივიდენდები მეკავშირისაგან	\$ მლნ
ნაშთი 2005 წლის 1 ივლისს	290
შემოსავალი (გადასახადების გარეშე) (30-10)	20

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზარალი	(5)
მიღებული დივიდენდები (გამოკლების საშუალებით)	(35)
ნაშთი 2006 წლის 39 ივნისს	270

#### პ.4.

გადასახადები	\$ მლნ	\$ მლნ
ნაშთი 2005 წლის 1 ივნისს	მოგების გადასახადი	185
	გადავადებული	25
	გადასახადი	
მოგება-ზარალის ანგარიშგება (210–10)		200
გადახდილი გადასახადი (გამოკლების საშუალებით)		(190)
ნაშთი 2006 წლის 30 ივნისს	მოგების გადასახადი	190
	გადავადებული	30
	გადასახადი	
		220

#### პ.5.

გადახდილი პროცენტი	\$ მლნ
ნაშთი 2005 წლის 1 ივნისს	45
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	40
დისკონტირების პოზიციის დახურვა შესყიდვაზე	(4)
გადახდილი ნაღდი ფული (გამოკლების საშუალებით)	(31)
საბოლოო ნაშთი 2006 წლის 30 ივნისს	50

პ.6. „რივერისათვის“ გადახდილი ნაღდი ფული ნაჩვენები უნდა იქნეს, როგორც „საინვესტიციო საქმიანობა“ \$ 400 მლნ, რის შემდეგაც გადახდილი დივიდენდი იქნება \$ (446,400) მლნ ანუ \$46 მლნ.

ბ) სათავო საწარმოსა და შეიძლობილის განმარტებას საფუძვლად უდევს კონტროლის განმარტება. ბასს 27-ში – „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ – აღნიშნულია, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც სათავო საწარმო იძენს ხმის უფლების ნახევარზე მეტს. იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლების ნახევარი არის მფლობელობაში, კონტროლის არსებობა შეიძლება დასტურდებოდეს (ბასს 27, პარ, 13):

- (i) ინვესტორებთან შეთანხმების შედეგად ნახევარზე მეტი ხმის უფლების ქონით;
- (ii) საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის მართვით, წესდების ან შეთანხმების საფუძველზე;
- (iii) მმართველი საბჭოს დირექტორების უმრავლესობის დანიშვნისა და დათხოვნის უფლებით;
- (iv) დირექტორთა საბჭოს შეხვედრაზე გადამწყვეტი ხმის უფლებით.

ბასს 27 ხაზს უსვამს, რომ „კონტროლის“ განმარტებაში ნახმარი სიტყვა „შესაძლებლობა“ (ძალაუფლება) ნიშნავს რაიმეს გაკეთების ან რაიმეზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას. ერთ საწარმოს გააჩნია კონტროლი მეორე საწარმოზე, როდესაც მას შეუძლია საკუთარი უფლების გამოყენება, მიუხედავად იმისა, კონტროლი აქტიურად დემონსტრირდება, თუ მას პასიური ხასიათი აქვს. გარდა ამისა, იმპ 12-ში – „კონსოლიდაცია – სპეციალური დანიშნულების საწარმოები“ – აღნიშნულია, რომ სპეციალური დანიშნულების საწარმოები უნდა დაექვემდებაროს კონსოლიდაციას, როდესაც საწარმოთა შორის დამოკიდებულების არსის მიხედვით, შვილობილს აკონტროლებს ანგარიშვალდებული საწარმო. ასეთ ურთიერთობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როდესაც სპეციალური დანიშნულების საწარმოები წინასწარი განზრახვითაა შექმნილი, ან, როცა გადამწყვეტი ხმის უფლებას ან საკუთარი კაპიტალის უმეტესობას ანგარიშვალდებული საწარმო არ ფლობს.

ბასს 27-ის თანახმად, საწარმოს კონტროლი გულისხმობს საწარმოს გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის წარმართვას, საწარმოსაგან სარგებლის მიღების მიზნით. მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღები სისტემის გაკონტროლების შესაძლებელობა არ არის საკმარისი, რომ დადგინდეს კონტროლის არსებობა სააღრიცხვო მიზნებისათვის. ამ შესაძლებლობას თან უნდა ახლდეს საწარმოს საქმიანობიდან სარგებლის მიღების მიზანი. თუ საწარმო სარგებელს იღებს მფლობელობისაგან, მასვე ეკუთვნის მფლობელობის რისკები და შეუძლია გადაწყვეტილების მიღების უფლება გამოიყენოს სარგებლის მიღებისათვის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი საწარმო მეორე საწარმოს აკონტროლებს.

„ზამბეზებ“ უნდა მოახდინოს „რივერის“ კონსოლიდირება, ვინაიდან „ზამბეზე“ ამ უკანასკნელს აკონტროლებს საოპერაციო მითითებების მეშვეობით. გარდა ამისა, „ზამბეზე“ იღებს მოგების 95 %-ს და მასზე ეკუთვნის „რივერის“ ყველა ზარალი. „რივერის“ შექმნისას შემუშავდა მითითებები გამოყენების შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო შეიქმნა სპეციალურად იმ დანიშნულებით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ზოგიერთი სამეურნეო ოპერაციის ფინანსური ანგარიშების გარეშე შენარჩუნება. ინვესტიციების მენეჯერი მართავს „რივერის“ ინვესტიციას ამ მითითებების საფუძველზე, იზიარებს რიკსა და იღებს მოგების 5 %-ს მმართველობითი მომსახურებისთვის.

გ) ეთიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბუღალტრულ პროფესიაში მომუშავე ადამიანებისა და მათთვის, ვინც მათ მომსახურებას იღებს. ბუღალტრულ პროფესიაში მომუშავე პროფესიონალებმა იციან, რომ ადამიანები, რომლებიც მათ მომსამხურებას იღებენ, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ ფინანსურ ანგარიშებაზე დაყრდნობით, ვარაუდობენ, რომ მათ საქმე აქვთ საიმედო, ობიექტურ და მაღალი დონის პროფესიონალებთან. ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში მომუშავე ადამიანი არა მხოლოდ მაღალი დონის პროფესიონალი უნდა იყოს, არამედ გააჩნდეს მაღალი მორალური სტანდარტები. კარგი პროფესიონალის რეპუტაცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივია.

მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკისა და ზელმძღვანელობის მხრიდან ფინანსური ანგარიშების განზრას დამახინჯებას შორის მცირე საზღვარია. ფინანსური ანგარიშება შემდეგ კრიტერიუმებს უნდა აქმაყოფილებდეს:

- (i) ტექნიკური შესაბამისობა: სამეურნეო ოპერაცია უნდა აისახოს ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპის შესაბამისად;
- (ii) ეკონომიკური არსი: მიღებული ფინანსური ანგარიშება უნდა ასახავდეს მომზდარი მოვლენის ეკონომიკურ არსს;

- (iii) სრულად ასახვა და გამჭვირვალობა: უნდა მოხდეს საქმარისად ნათელი ასახვა, რათა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის გასაგები გახდეს სამეურნეო ოპერაციის გავლენა.

„რივერის“ შემთხვევაში, შეგვიძლია ვქთვათ, რომ პირველი კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, ვინაიდან სამეურნეო ოპერაციის ასახვა ტექნიკურად შესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს, მაგრამ მხოლოდ ტექნიკური შესაბამისობა საქმარისი არ არის. მეორე კრიტერიუმი დაცული არ არის, რადგან სამეურნეო ოპერაციის ასახვა არ შეესაბამება მომხდარი მოვლენის ეკონომიკურ არსეს.

ბუღალტრული აღრიცხვა საზოგადოების ცხოვრებაში კრიტიკულ როლს თამაშობს. ბუღალტრული ციფრები გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა იგი გავლენას ახდენს ფულად კომპენსაციაზე. სამეურნეო ოპერაციის განზრახ შენიღბვა შეიძლება არაეთიკურ საქციელად ჩაითვალოს.

„რივერი“ შეიქმნა იმ მიზნით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო გარკვეული შედეგების ბალანსგარეშე შენარჩუნება. ფინანსურ დირექტორს ეკისრება ეთიკური ხასიათის პასუხისმგებლობა „ზამბეზეს“ აქციონერებისა და საზოგადოების წინაშე, რათა არ შენიღბოს საწარმოსთან სამეურნეო ოპერაციების ნამდვილი არსი, გარდა ამისა, თუ სამეურნეო ოპერაცია ნებადართული იყო ფინანსური დირექტორის მიერ მმართველი საბჭოს წევრების ინფორმირებულობისა და მათი დასტურის გარეშე, წამოიჭრება საკითხი დამატებითი ეთიკური პასუხისმგებლობის შესახებ. ფონდების გადაცემის ჩვენება დივიდენდების გადახდის სახით, არაეთიკური და შესაძლოა ზოგიერთ იურიდიული სივრცეში არალეგალურიც იყოს. გადარიცხვა არ უნდა დაიმალოს და „რივერის“ ქონსოლიდაცია უნდა განხორციელდეს.

შეფასების სქემა	
a)	საოპერაციო საქმიანობა 6 დასაქმების შემდგომი სარგებელი 3 მეკავშირე 3 შვილობილის ასახვა 4 ძირითადი საშუალებები 3 გუდვილი 2 უმცირესობის წილი 3 გადასახადები 3 გადახდილი დივიდენდები 3 პროცენტი 2 „რივერი“ 2 აქციების გამოშვება 1 მაქსიმუმი 35
ბ.	სხვადასხვა საკითხები 9
გ.	მსჯელობა ეთიკურობის შესახებ 3 „რივერი“ 3
სულ:	
	<u>50</u>

## 2. „ელექტრონი“

ანგარიში „ელექტრონის“ დირექტორებს

ანგარიში წარმოდგენილია ბუღალტრული ასახვა და მოსაზრებები, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ნავთობის კონტრაქტები;
- ელექტროსადგურები;
- ჩვეულებრივი იჯარა;
- შემოთავაზებული დივიდენდი;
- აქციათა ოფციონები.

ნავთობის კონტრაქტები

ნავთობის კონტრაქტებთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის სტრატეგია წარმოშობს ცალკეულ საკითხებს. ამჟამად არსებული ამონაგების აღიარების პოლიტიკის შედეგად, ამონაგები ხელოვნურად იზრდება კონტრაქტის პირველ წელს, ამონაგების 50 %-ის აღიარებისა და ცვეთის სახით დანახარჯების მცირე პროცესის აღიარების გამო. კონტრაქტის ვადის მანძილზე დანახარჯები და ამონაგები თანაბრად უნდა შეესატყვისებოდეს ერთმანეთს, მაგრამ მოკლევადიან პერსპექტივაში არსებობს მიკერძოებულობა ამონაგების უფრო დაუყოვნებელი აღიარების გამო ხარჯების პირდაპირ გადავადების საპირისპიროდ. გარდა ამისა, ნავთობის გაყიდვა გვაძლებს ამონაგებს, მაშინ, როცა ნავთობის შესყიდვა გრძელვადიან მატერიალურ აქტივს წარმოშობს. ბას 18-ში – „ამონაგები“ – აღნიშნულია, რომ ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციასთან ან მოვლენასთან დაკავშირებული ამონაგები და ხარჯები ერთდროულად უნდა აღიარდეს. „სტრუქტურულ საფუძვლებში“ აღნიშნულია, რომ „მსგავსი სამეურნეო ოპერაციების შეფასება და ასახვა უნდა განხორციელდეს თანამიმდევრულად“. უნდა ტარდებოდეს ბუღალტრული აღრიცხვის ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ყოველივე ამის განხორციელებას. როგორც ჩანს, ამჟამად გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა არ შეესაბამება ბას 18 -სა და „სტრუქტურულ საფუძვლებს“.

მიუხედავად ამისა, საწარმოს არჩევანი, კონტრაქტებთან დაკავშირებით გადავადების პოლიტიკის ერთ-ერთი ფორმის გამოყენების თაობაზე, ქებას იმსახურებს, რადგან მისი მიზანია ამონაგების აღიარების პოლიტიკა შესაბამისობაში მოიყვანოს კონტრაქტის ვადასთან. მირითადი პროცედუმა ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებული დეტალური ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის არარსებობა, რის შედეგადაც გრძელვადიანი კონტრაქტების ბუღალტრული აღრიცხვა ნაკლები თანამიმდევრულობით ხასიათდება. თუმცა, ამ ტიპის ამონაგებთან დაკავშირებით გადავადების პოლიტიკის გატარება, შესაძლოა კარგი აღმოჩნდეს. კონტრაქტს ყოველთვის მოსდევს ნავთობის შეძენა საწარმოს ჩვეულებრივ რეჟიმში საქმიანობის დროს. რადგან კონტრაქტი აკმაყოფილებს კრიტრიუმებს, ჩვეულებრივი გაყიდვის კონტრაქტის სახით აღიარების შესახებ, იგი არ აღირიცხება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტი.

ელექტროსადგურები

ბასს 37-ის „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ – ქვემოთ წარმოდგენილი მიზეზების გამო, საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა შეიქმნას ანარიცხი ელექტროსადგურის ლიკვიდაციის დისკონტირებული დანახარჯი-სათვის:

- (i) ელექტროსადგურის შექმნა არის მავალდებულებელი მოვლენა;
- (ii) საოპერაციო ლიცენზია ქმნის იურიდიულ ვალდებულებას, რომლის მოხდენაც სავარაუდოა;
- (iii) ლიკვიდაციის დანახარჯი გაწეულ უნდა იქნეს, მიუხედავად საწარმოს საქმიანობისა მომავალში და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია;
- (iv) საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად ეკონომიკური სარგებლის გადაცემა (ანუ ლიკვიდაციის დანახარჯი);
- (v) შესაძლებელია ვალდებულების თანხის გონივრული შეფასება, თუმცა მნელია იმ დანახარჯის შეფასება, რომელიც გაწეული იქნება 20 წლის შემდეგ ( ბასს 37-ში აღნიშნულია, რომ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იქნება შეუძლებელი ვალდებულების რაოდენობის შეფასება).

გასაწევი დანახარჯები აისახება, როგორც ინფრასტრუქტურის თვითღირებულების ნაწილი, რომელსაც ცვეთა უნდა დაერიცხოს სასარგებლო ვადის განმავლობაში. თუმცა, დანახარჯები, რომელიც უკავშირდება ენერგიის წარმოქნით გამოწვეულ ზარალს, არ უნდა ჩაერთოს ანარიცხში ენერგიის მოპოვებადე, რაც ამ შემთხვევაში მთლიანი დისკონტირებული ანარიცხის 5 % იქნება. ანარიცხის ბუღალტრული ასახვა ნაჩვენებია 1-ლ დანართში.

### ჩვეულებრივი იჯარა

იმკ 27 – „ვარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“ – განიხილავს იმ შემთხვევებს, როდესაც საიჯარო შეთანხმებები აკმაყოფილებს ბასს 17-ში – „იჯარა“ – წარმოდგენილ იჯარის განმარტებას და როგორ უნდა ასახოს საწარმომ მიღებული ჰონორარები. იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური, თუ იგი გადასცემს მფლობელობის რისკებსა და სარგებელს. ყველა სხვა სახის იჯარა ჩვეულებრივ იჯარად მიიჩნევა. ამ შემთხვევაში, სარგებლობისა და იურიდიული უფლებები რჩება „ელექტრონის“, რომელსაც შეუძლია ელექტროსადგურის გამოყენება, სურვილის შემთხვევაში. გარდა ამისა, იჯარა რომ ფინანსურ იჯარად იქნეს მიჩნეული, მინიმალური საიჯარო გადასახდელების, მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება თითქმის მთლიანად უნდა უტოლდებოდეს იჯარით აღებული აქტივის ღირებულებას. ამ შემთხვევაში, თანხა უდრის 57.1%-ს (\$ 40 მლნ : \$ 70 მლნ), რაც არ შეადგენს „თითქმის მთლიან“ ღირებულებას. ასე, რომ, როგორც ჩანს, საკითხი არ დგას იჯარის ჩვეულებრივ იჯარად კლასიფიცირების შესახებ. მომავალი სარგებლის დაუყოვნებელი აღიარება მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით უფრო პრობლემატურია. ბასს 17-ში აღნიშნულია, რომ საიჯარო შემოსავალი ჩეულერბივი იჯარიდან უნდა აღიარდეს წრფივი მეთოდის საფუძველზე, თუ სხვა სისტემატური საფუძველი უფრო რეპრეზენტაციული არ იქნება. თუ ჰონორარი მიიღება როგორც „წინასწარი გადახდა“ ნაღდი ფულის სახით, გამოყენებულ უნდა იქნეს ბასს 18 – ამონაგები“ (პარ 29) და იმკ 27. თუ გადახდილი ჰონორარის გამომუშავებისათვის საჭიროა რამე სახის ჩარევა მომავალში, ან შენარჩუნებულია ზოგადად რისკი და კერძოდ თანხის უკან დაბრუნების რისკი, ან რამე სახის შეზღუდვა მეიჯარის მიერ აქტივს გამოყენების

თაობაზე, დაუყოვნებლივ აღიარება არასწორია. არსებული პოლიტიკა მთელი იჯარის შემოსავლის აღიარების შესახებ თითქოს იგი ერთბაშად მიღებული შემოსავალ იყოს, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, მნელი დასასაბუთებელი იქნება. მსგავსად ამისა, რაც შეეხება მიღებულ დეპოზიტს, ამონაგები მხოლოდ მაშინ უნდა აღიარდეს, როდესაც შესრულდება კონტრაქტის პირობები. იმის გამო, რომ კონტრაქტის პირობები არ შესრულდა, პერიოდს არავითარი ამონაგები არ უნდა აისახოს.

### შემოთავაზებული დივიდენდი

დივიდენდი შემოთავაზებულ იქნა საწარმოს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. შესაბამისად, საანგარიშგებო თარიღისათვის ვალდებულებება არ არსებობდა. დივიდენდის ანარიცხი არ უნდა აღიარდეს. დირექტორებისა და აქციონერების მხრიდან დამტკიცება საკმარისია დასაბუთებული მოლოდინის შესაქმნელად, გადახდის შესახებ და ეს მართლაც წარმოშობს ვალდებულებას, თუმცა ყოველივე ამას ადგილი ჰქონდა მიმდინარე წლის დასრულების შემედეგ და, შესაბამისად, დივიდენდი დაერიცხება 2007 წლის 30 ივნისს დასრულებული წლის მოგებას.

დივიდენდების გადახდის თვალსაზრისით, დადგითი ისტორიის ქონა და დადგენილი პოლიტიკა დივიდენდენთან მიმართებაში არ ქმნის დასაბუთებულ მოლოდინს ან ვალდებულებას. თუმცა, შემოთავაზებული დივიდენდი ნაჩვენები იქნება ფინანსური ანგარიშგების გამარტებით შენიშვნებში, ვინაიდან დირექტორებმა იგი დაამტკიცეს ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე.

### აქციათა ოფციონები

თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით დაფიქსირებული გადახდის გარიგებები ჩვეულებრივ ხარჯად ჩამოიწერება მინიჭების თარიღისათვის, მისი რეალური ღირებულების საფუძველზე. სადაც შესაძლებელია, რეალური ღირებულება საბაზრო ფასებს უნდა ეყდნობოდეს. ბევრი აქცია და აქციათა ოფციონი გამოტანილი არ იქნება გასაყიდად აქტიურ ბაზარზე. ამ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება შეფასების ტექნიკა, როგორიცაა ოფციონების შეფასების მოდელი. ფასს 2-ის – „წილობრივი გადახდა“ – მიზანია, კომპენსაციის დანახარჯების დადგენა და აღიარება პერიოდის განმავლობაში, როდესაც მომსამზურება გადაეცემა. ამ შემთხვევაში, საწარმომ თანამშრომლებს მიანიჭა აქციათა ოფციონები, რომლებიც გადაეცემა სამი წლის შემდეგ იმ პირობით, თუ ამ დროისათვის თანამშრომლები დარჩებან საწარმოში. გადაიდგმება შემდეგი ნაბიჯები:

- დადგინდება ოფციონების რეალური ღირებულება მინიჭების თარიღისათვის;
- ეს რეალური ღირებულება დაერიცხება მოგება-ზარალს თანაბრად გადაცემის სამწლიანი პერიოდის განმავლობაში, თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის გაეტებული კორექტირების საფუძველზე, რომლებიც ასახავს საბოლოოდ გადასაცემი ოფციონების საუკეთესო შეფასებას.

აქციონერების საკუთარი კაპიტალი გაიზრდება მოგება-ზარალის დანახარჯის შესაბამისი თანხით. ხარჯი მოგება-ზარალში ასახავს ოფციონების რაოდენობას, რომლებიც, სავარაუდოდ, იქნება გადაცემული და არა გადაცემული ან გამოყენებული ოფიონების რაოდენობას. თუ თანამშრომელი გადაწყვეტს არ გამოყენოს ოფციონი, რადგან აქციის ფასი უფრო დაბალია, ვიდრე გამოყენების ფასი, მოგება-ზარალში კორექტირება არ აისახება. თანამშრომელთა აქციების ოფციონების ბევრი პროგრამა შეიცავს პირობებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ოფციონის გადაცემამდე. მათ ეწოდება გადაცემის პირობები. შესაძლებელია ეს იყოს მოგების ზრდა, ან საწარმოს აქციის ფასის ზრდა აქციების გადაცემის პერიოდამდე. ამ შემთხვევაში, გადაცემის პირობა არის სამუშაოზე დარჩენის პირობა. \$ 940,000 (\$3 მლნ x 94% x 1/3)

დაერიცხება მოგება-ზარალს და დაკრედიტდება საკუთარ კაპიტალზე 2006 წლის 30 ივნისს.

### დასკვნა და რეკომენდაციები

წარმოდგენილი ანგარიში შეიცავს რეკომენდაციებს, ხაზგასმული მუხლების ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებით. აუცილებელია ამ რეკომენდაციების დაცვა, რაღაც თუნდაც ერთი ფასს-იდან გადახვევა გულისხმობს, რომ ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ფასს-ის დაცვით.

### დანართი 1

	\$ მლნ	\$ მლნ
ვალდებულების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება 2005 წლის 1 ივნისს (15:1.05)	14.3	
ლიკვიდაციის ანარიცხი (95 % x14.3)	13.6	
ანარიცხი მოპოვებით გამოწვეული ზარალისთვის (5%x14.3)		0.7

#### ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2006 წლის 30 ივნისისათვის

გრძელვადიანი აქტივები:	100
ელექტროსადგურის თვითღირებულება	13.6
ლიკვიდაციის ანარიცხი	113.6
მინუს ცვეთა (113.6:20 წელზე)	(5.7)
მიმდინარე საბალანსო ღირებულება	107.9

#### სხვა ანარიცხები:

ლიკვიდაციის ანარიცხი 2005 წლის ივნისს დისკონტირების პოზიციის დახურვა (13.6 X 5%)	13.6
	0.7
	14.3
ზარალის ანარიცხი (0.7:20 წელზე) (იხ. პედაგოგის შენიშვნა)	0.1
	14.4

#### მოგება-ზარალის ანგარიშგება

ცვეთა	5.7
ზარალის ანარიცხი	0.1
დისკონტირების პოზიციის დახურვა	0.7

ზარალის ანარიცხის გამოსათვლელად გამოყენებული იქნა მარტივი პირდაპირი მეთოდი. შედარებით რთული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია, როდესაც სავარაუდო ღირებულების მიმდნარე დისკონტირებული ღირებულების ანარიცხი იქმნება 20 წელზე მეტი პერიოდისათვის და მისი ვადის განმავლობაში დისკონტის პოზიცია დაიხურება.

**პედაგოგის შენიშვნა:** ზარალის ანარიცხის სამუშაო გაანგარიშება გვაძლევს \$ 35,000. სამი წლის შემდეგ, ჯამური რაოდენობა იქნება \$ 105,000, რაც მრგვალდება \$ 0.1 მლნ-მდე ზემოთ წარმოდგენილ პასუხში ეს თანხა აღიარებულია პირველ წელს.

შეფასების სქემა	
ნავთობის კონტრაქტები	4
ელექტროსადგური	7
ჩვეულებრივი იჯარა	5
შემოთავაზებული დივიდენდი	3
აქციათა ოფციონები	4
ეფექტური კომუნიკაცია	2
<b>სულ:</b>	<b>25</b>

### 3. „პშსარი ჯგუფი“

ფასს-ის თანახმად, აქტივი ან ვალდებულება უნდა აღიარდეს, თუ იგი აკმაყოფილებს „სტრუქტურულ საფუძვლებში“ მოცემულ შესაბამის განმარტებას. განმარტება შეეხება ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლებას ან მისი გადაცემის ვალდებულებას წარსული მოვლენის შედეგად. აღრიცხვის მოდელი, რომელიც გამოიყენება გადავადებული გადასახადისათვის, ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ სამეურნეო ოპერაციებზე გადასახადების გავლენა უნდა აღიარდეს იმავე პერიოდში, როცა თავად ოპერაცია აისახება. რეალობა ის არის, რომ გადასახადი გადაიხდება საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, მაშინ როცა იგი ხდება იურიდიული ვალდებულება. ამიტომაც, არსებობს მოსაზრება, რომ გადავადებული აქტივი არც აქტივია და არც ვალდებულება.

დროებითი სხვაობების მიღეომა ეფუძნება დაშვებებას იმის თაოაბაზე, რომ აქტივი საბოლოოდ ამოდებული იქნება ან რეალიზდება იმ ფულადი ნაკადის მეშვეობით, რომელიც გათვალისწინებული იქნება მომავალი დასახელი მოგების განსაზღვრაში. ასე რომ, უნდა შეიქმნას აქტივის რეალიზებისას გადასახდელი გადასახადისთვის ანარიცხი. არსებობს მოსაზრება, რომ საგადასახადო ელექტრონული იქნორინების გამო, ამგვარი მიღეომა აღარ გვიჩვენებს, რომ აქტივი შეიძლება ამოღებულ იქნეს მიმდინარე საბალანსო ღირებულებით.

მსგავსად ამისა, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში ასახულ ვალდებულებებთან დაკავშირებით, არსებობს მოსაზრება, რომ საბოლოოდ იგი დაიფარება ფულადი ნაკადის გადინების სახით. გადინება ჩართული იქნება საგადასახადო მოგების განსაზღვრაში და ნებისმიერი საგადასახადო შეღავათი ფაქტობრივად აქტივი იქნება. როგორც ზემოთ, შეუსაბამობა იქნება ვალიაროთ ვალდებულება, და მისი საგადასახადო შედეგების იგნორირება მოვახდინოთ.

ამ მიღეომის კონცეტრაციური სისუსტე ისაა, რომ ვალდებულების მხოლოდ ერთი სახეობისათვის, კერძოდ გადასახადისათვის იქმნება ანარიცხი და არა სხვა დანახარჯებისათვის, რომლებიც იქნება გაწეული, როგორც, მაგალითად, ზედნადები ხარჯები. გადავადებული გადასახდის აღრიცხვაში ძირითადი პრობლემაა, როგორ უნდა აისახოს აქტივებისა და ვალდებულებების მიმდინარე საბალანსო ღირებულებების მომავალში ამოღების ან დაფარვის საგადასახადო შედეგები.

	ფინანსური ანგარიშგების კორექტირება	საგადა- სახადო ბაზა	დროებითი სხვაობა
	\$ 000	\$ 000	\$ 000
ძირითადი საშუალებები	10,000	2,400	7,600
გუდვილი	6,000	6,000	
სხვა არამატერიალური აქტივები	5,000	0	5,000
ფინანსური აქტივები (თვითღრებულებები)	9,000	1,500	9,000
	<u>30,0000</u>		
სავაჭრო დებიტორული დაგალიანება	7,000	7,500	(500)
სხვა დებიტორული დაგალიანება	4,600	5,000	(400)
ფული და ფულადი სახსრების ეპივალენტები	6,700	6,700	--
მთლიანი მიმდინარე აქტივები	<u>18,300</u>		--
მთლიანი აქტივები	<u>48,300</u>		
გრძელვადიანი სესხები	10,000	(400)	10,000
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	3,600	3,600	--
დაქირავებულ თანამშრომელთა სარგებელი	4,000	520	5,000
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	3,070	3,070	--
საკრედიტო და სხვა სახის კრედიტორული დავალიანება	5,000	4,000	(1,000)
მთლიანი ვალდებულებები	<u>25,670</u>		<u>13,080</u>
სააქციო კაპიტალი	9,000		
სხვა რეზერვები	4,500	1,500	
		400	
დაგროვილი მოგება	<u>9,130</u>	(520)	
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	<u>22,630</u>		
	\$ 000		
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	4,494		
14,980 30%-ად			

გადავადებული საგადასახადო აქტივი  
(1,900) 30%-აღ

(570)

წმინდა საგადასახადო ვალდებულება	3,924
13,080 30%	
მინუს არსებული ვალდებულება	(3,600)
კორექტირებები გადავადებული გადასახადისათვის	(324)

გადავადებული გადასახადის კორექტირება:

- (i) გასაყიდად არსებული ინვესტიცია უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით ზრდის საკუთარ კაპიტალში ასახვით (\$ 1.5 მლნ);
- (ii) ობლიგაცია უნდა დაიყოს საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულების ელე-მენტებად, ბას 29-ის მიხედვით;
- (iii) დადგენილგადასახდელიან პროგრამასთან დაკავშირებით უნდა აღიარდეს \$1 მლნ-ის 40 % +(\$ 1 მლნ-ის 60%:5), ანუ \$ 520,000 როგორც ვალდებულების ზრდა. დაგროვილ მოგებას იგივე რაოდენობა დაერიცხება;
- (iv) ვინაიდან საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯებზე საგადასახადო შეღავათი მი-ლებულ იქნა, მისი საგადასახადო ბაზა წულის ტოლია. გუდვილის შეფასება ხდება როგორც ნარჩენი თანხის და შესაბამისად გავლენა არ განისაზღვრება ბას 12-ის მიხედვით.
- (V) თანამშრომელთა კომპენსაციისათვის დარიცხული თანხა არ ექვემდებარება საგადასახადო შეღავათს მომდევნო პერიოდამდე და შესაბამისად, შეამცირებს სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების საგადასახადო ბაზას.

შეფასების სქემა	
a)	მსჯელობის ხარისხი 2
	სტრუქტურული საფუძვლები 1
	დროებითი სხვაობა 2
	ვალდებულება 1
	სუსტი მხარეები 1
	მაქსიმუმი 7
b)	კორექტირებები: გასაყიდად არსებული აქტივები 2
	კონვერტირებადი ობლიგაცია 2
	დადგენილგადასახდელიანი პროგრამა 2
	ძირითადი საშუალებები 1
	გადავადებული გადასახადი: გუდვილი 1
	სხვა არამატერიალური აქტივები 1
	ფინანსური აქტივები 1
	სავაჭრო დებიტორული დავალიანება 1

გრძელვადიანი სესხები	1
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	1
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	2
გამოთვლა	3
არსებული	19
მაქსიმუმი	18
არსებული	26
<b>სულ:</b>	<b>25</b>

#### 4. ფას-ი

ა) ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, ჩვეულებრივ, შეიქმნა კოტირებული საწაროებრივის ჯგუფის მიერ ანგარიშგების მოსამზადებლად. ფასს-ის გამოყენება იმდენად გავრცელდა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, რომლებიც აუმჯობესებენ საკუთარი ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელ გარემოს, ფასს-ის დაცვით მომზადებული კორპორაციული ანგარიშგება უფრო საიმედოდაა მიჩნეული, ვიდრე ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული ადგილობრივი პრინციპების დაცვით მომზადებული. ამ ქვეყნებში ფასს-ის დაცვა იურიდიული საწარმოებისათვის წესდებითაა მოთხოვნილი და, შესაბამისად, განხორციელებისას დგება ეროვნული კანონმდებლობის ფასს-თან შესაბამისობის საკითხი.

განხორციელებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხია მცირე და საშუალო საწარმოების ანგარიშგება, კერძოდ, უნდა შეიქმნას თუ არა სტანდარტების ცალკე პაკეტი და რა კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე. ეფექტური განხორციელებისათვის საჭიროა მუდმივი კომუნიკაცია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა და ეროვნულ მარეგულირებლებს შორის. ბასმა გამოსცა ურთიერთგავების მემორანდუმის სამუშაო ვარიანტი, ბუღალტრული სტანდარტების შემუშავებლების როლისა და ბასს-თან მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მასში მოცემულია პასუხისმგებლობები, რომლებიც ბასს-სა და სტანდარტების სხვა შემმუშავებლებს აკისრია ფასს-თან დაახლოების მიღინარე პროცესში.

ფასს-ის დამცველი საწარმოების რაოდენობის ზრდასთან ერთად, იზრდება მოთხოვნა გამოყენების შესახებ მითითებების თაობაზე. ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტს დაეკისრა ამ მოთხოვნების დაქმაყოფილება, მაგრამ შესაძლოა საჭირო იყოს დამატებითი მექანიზმების შექმნა, რადგან კომიტეტმა შექმნის შემდევ მხოლოდ მცირერიცხოვანი ინტერპრეტაციების გამოშვება შეძლო.

ვარიაციებმა ფასს-ის ინტერპრეტაციაში შესაძლოა გამოიწვიოს შეუსაბამობა. ზოგიერთ ქვეყანაში მაღალი დონის ტექნიკური თარგმანის შესაძლებლობები დაბალია, რის გამოც შესაძლებელია წარმოიშვას შეუსაბამობა არსებულ ეროვნული ტერმინოლოგიასა და კანონმდებლობას შორის. გარდა ამისა, დრის გამო, რომელიც საჭიროა ადგილზე დამტკიცების პროცედურებისა და თარგმანისათვის, ასევე შესაძლებელია, რომ ამა თუ იმ ეტაპზე არსებული ფინანსური ანგარიშგება არ შეესაბამებოდეს სტანდარტების უკანასკნელ ვერსიას. დასასრულ, ფასს-ის

წარმატებით განხორციელება დამოკიდებული იქნება ადგილობრივი მარეგული-რებელი გარემოს სიმტკიცეზე. განხორციელების პროცესში საჭიროა ეფექტური კორპორაციული მართვის პრაქტიკა, მაღალი დონის აუდიტის სტანდარტები და პრაქტიკა, ეფექტური კონტროლის მექანიზმები. მაგალითად, ბასს-ის მიერ ფასს-ის გამოცემის შედეგად ევროკავშირმა ოფიციალურად უნდა დაამტკიცოს იგი, სანამ მისი გამოყენება სავალდებულო გახდება კოტირებული საწარმოებისათვის. ამ პროცესებმა შეიძლება მივიყვანოს ბასს-ის სტანდარტებისაგან განსხვავებული სტანდარტების არსებობამდე.

ფასს-ის განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს გარევეული შედეგები, საკანონ-მდებლო თვალსაზრისით. რაც უფრო რთულია მარეგულირებელი გარემო, მით მეტი პრობლემა წარმოიშობა. შესაძლოა არსებობდეს საგადასახადო, გასაყიდ ფასებთან და მეწარმეთა კანონთან დაკავშირებული შედეგები; ცალკეული სექ-ტორები, მაგალითად საბანკო და სადაზღვევო, შეიძლება დამატებითი რეგული-რების საგანი გახდეს, რაც ნიშნავს სპეციალური საანგარიშებო მოთხოვნების დაცვას. საწარმოებმა შესაძლოა აღმოჩინონ, რომ ისინი არღვევენ მსესხებთან არსებულ შეთანხმებებს, რადგან დაფინანსების მიწოდება ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებულ ადგილობრივ პრინციპებს. მსგავსად ამისა, მეწარმეთა კანონი შეიძლება აწესებდეს მოთხოვნებს დივიდენდების განაწილე-ბასთან დაკავშირებით და თუ კორპორაციული მმართველობის კანონში საჭირო ცვლილებები არ შევიდა, დივიდენდების განაწილება დამოკიდებული იქნება ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებულ ადგილობრივ პრინციპებზე, რაც წარმოშობს გაუგებრობებს.

ფასს-ის ძალაში შესვლის კოორდინირებისათვის საჭიროა საერთაშორისო მექანიზმი. ფასიანი ქაღალდების კომისიებისა და საფონდო ბირჟების საერთაშორისო ორგანიზაცია არის ასეთი დაწესებულება საფონდო ბირჟაზე კოტირებულ საწარმოებთან მიმართებაში. მან წამოაყენა წინადაღებები ფასს-ის სავალდებულო გამოყენებასთან დაკავშირებით. ევროკავშირმა შექმნა ევროპის ფასიანი ქაღალდების მარეგულირებული კომისია, რომელიც მიზნად ისახავს კანონმდებლობის გაუმჯობესებას ევროკავშირში.

ფასს-ის სირთულე და დიდი მოცულობა მის განხორციელებას საქმაოდ არ-თულებს. სტანდარტები დაფუძნებული უნდა იყოს პრინციპებზე, ამან კი შეიძლება მიგვიყვანოს გამოყენების შეუსაბამობამდე, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს გამოცდილი ბუღალტრების საჭირო რაოდენობა. ბუღალტრების უმრავლესობას მიღებული ექნება წვრთნა, შეიძლება ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებთან დაკავშირებით. ამიტომაც, როცა ფასს-ი გვთავაზობს არჩევანს, სავარაუდოა, რომ ისინი ამოირჩევენ ვარიანტს, რომელიც ახლოსაა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებულ პრინციპთან. გარდა ამისა, ფასს-ის დიდი მოცულობით იყენებს შეფასებას რეალური ღირებულებით, რისთვისაც საჭიროა საბაზრო ინფორმაცია. საბაზრო ინფორმაციის არსი განსხვავებული იქნება მსოფლიო მასშტაბით. თუ საბაზრო ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის, ალტერნატიული წყარო შეიძლება იყოს პიპოთეტური ბაზრის სიმულირება ან მათემატიკური მოდელირების გამოყენება. ამგვარი ტექნიკის გამოყენების გამოცდილება განსხვავებული იქნება მთელს მსფოლიოში, კერძოდ ისეთ სფეროებში, როგორიცაა აქტუარული შეფასება, გაუფასურების ტესტირება და აქციებით განსაზღვრული გადახდის გარიგებების შეფასება. ფასს-ში დაფიქსირებული კონცეფცია შესაძლოა სიახლეს წამოადგენდეს პროფესიონალთა ცალკეული ჯგუფისათვის და მისი ათვისება გაძნელდეს.

ბ) ამჟამად არსებული ბუღალტრული პრაქტიკის შესაბამისად, აღრიცხვის შეძენის მეთოდის მიზანია შეძენის თვითღირებულების ასახვა. იდენტიფიცირებად აქტივებსა და ვალდებულებების ნამეტის სახით (რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით) წარმოიქმნება გუდვილი და აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს განსახილველი დოკუმენტი იზიარებს განსხვავებულ ხედვას და მოითხოვს, რომ ფინანსური ანგარიშგება ასახავდეს შეძენილი საწარმოს რეალურ ღირებულებას. შეძენილი საწარმოს რეალური ღირებულებით აღიარება იქნება ნიშანი იმისა, შემძენელის მიერ კონტროლის მოპოვებამდე ფლობილი წილი გადაფასდება რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, საიდანაც მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შემოთავაზების მიხედვით, ჯგუფი აისახება როგორც ერთიანი ეკონომიკური ერთეული და შვილობილ საწარმოში საწარმოს საკუთარი კაპიტალის გარდა სხვა წილის ფლობა მიიჩნევა ჯგუფის საკუთრებად. ამის შედეგად, უმცირესობის წილის მფლობელ აქციონერებთან განხორციელებული ოპერაციები უნდა აისახოს, როგორც საკუთარ კაპიტალზე შესრულებული ოპერაციები. მოგება-ზარალში არავითარი შემოსულობა ან ზარალი არ აღიარდება. ბუღალტრული აღრიცხვა საწარმოთა გაერთიანებისათვის დღემდე დაფუძნებული იყო „სათავო საწარმოს“ ცნებაზე, სადაც არამაკონტროლებული წილის არსებობა და სამეურნეო ოპერაციები არამაკონტროლებულ წილთან ცალკე იდენტიფიცირდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებაში.

ასევე შემოთავაზებულია, რომ გუდვილი სრულად უნდა იქნეს აღიარებული იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონტროლი 100%- ზე ნაკლებია. ფასს 3 ამჟამად მოითხოვს, რომ შეძენისას წარმოქმნილი გუდვილი აღიარდეს სათავო საწარმოს მიერ, კუთვნილი წილის შესაბამისად.

შეძენასთან დაკავშირებული დანახარჯები არ უნდა აღირიცხოს როგორც ინვესტიციის თვითღირებულების ნაწილი და აისახოს მოგება-ზარალში. ასევე შეიცვლება საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი ზოგიერთი აქტივის აღიარება და შეფასება. ფასს- ის სამუშაო ვარიანტით მოთხოვნილია, რომ შეძენილი აქტივები და ვალდებულებები შეფასდეს და აღიარდეს რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის. ამჟამად გამოიყენება შეფასება რეალური ღირებულებით. მოცემული იქნება მითითებები, როგორ შეფასდეს „რეალური ღირებულება“ არსებული სტანდარტის მიხედვით. მითითებები ხშირად იწვევს აქტივებისა და ვალდებულებების იმგვარად შეფასებას, რაც არ შეესაბამება რეალური ღირებულების მიზნებს.

შეფასების სქემა	
ა. სუბიექტური	18
ბ. სუბიექტური	7
სულ	<u>25</u>